



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №30

28 ივნისი 2018 წ.

ქ. თელავი

ქ. თელავში, თბილისის გზატკეცილზე მდებარე 2126 კვ.მ. არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შეძენისას ნაკისრი სააუქციონო პირობის შესრულების ვადის გაგრძელების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

1. მიეცეს თანხმობა თელავის მუნიციპალიტეტის მერს, მოქალაქე ციური ლაფაურს (პ/ნ 20001021519) გაუგრძელოს ქ. თელავში, თბილისის გზატკეცილზე მდებარე 2126 კვ.მ. არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 53.20.33.084) შეძენისას ნაკისრი სააუქციონო პირობის (ობიექტის ექსპლუატაციაში შესვლა) შესრულების ვადა 2 (ორი) წლით.
2. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის №41).

საკრებულოს თავმჯდომარე



არჩილ თხლაშიძე